

BAZAAR

Women from the

ქალები ბეზრდენ
თბილისი

TBILISI

FROM
COSMO
WITH LOVE

სიყვარულით
კოსმოსგან

მოხდენილი
ELEGANT

კომფორტული
COMFORTABLE

შესანიშნავი
MAGNIFICENT

8 მარტი
MARCH

EXTRAORDINARY ISSUE

არაჩვეულებრივი
ნომერი

ეს არ არის
ჰარპერ'ს ბეზარი

THIS IS NOT
HARPER'S BAZAAR

FASHION
FOR REAL
WOMEN

მოდა ნამდვილი
ქალებისთვის



მისამართები:

ვაჟა ივერიელის 24, თბილისი
სითი მოლი საბურთალო, თბილისი
სითი მოლი გლდანი, თბილისი
ისტ ფონთი, თბილისი

ფენიქსი-ვარკეთილი, თბილისი
შავი ზღვის მოლი, ბათუმი
ქარვასლა, ქუთაისი

დაასკანერეთ
QR კოდი საიტზე
გადასასვლელად



მოდელი: მილან ლიი
ფოტოგრაფი: ანრიშა
ვიზაჟი: ნინო ფოცხვერაშვილი

Model: Milan Lee
Photography: Anrisha
Make-up: Nino Fotskhverashvili

COSMO

BAZAAR


Women from the

ქალები ბაზრიდან

სარჩევი

Table of contents

6	რედაქტორის წერილი Editor's letter	
7	კოსმოს შესახებ About Cosmo	
11	წელრანთა Waist bags	
12	ჩოხჩა Chokh'cha	
14	დეზერტირების ბაზრის ისტორია History of Dezerter Bazaar	
17	ქალების შესახებ About women	
18	ნინო ხუციშვილი Nino Khutsishvili	
22	სარა ლაიმბერგი Sara Leymberg	
26	ვიკა აგრისკოვა Vika Agrizkova	
28	მარინა მოწონელიძე Marina Motsonelidze	
32	თეონა ბეგლარაშვილი Teona Beglarashvili	41 ჯაბა ქურთიშვილი Jaba Kurtishvili
36	ლუიზა ასლანოვა Luiza Aslanova	42 ქალები ბაზრიდან Women from the Bazaar



COSMO

მოდელი: ნინო ხუციშვილი
ფოტოგრაფი: ლეკო ტყონია
ვიზაჟი: კრისტი ვეკუა
თმის სტილისტი: ნათია ტოხური

Model: Nino Khutsishvili
Photography: Leko Tchkonია
Make-up: Kristi Vekua
Hair stylist: Natia Tchokhuri

რედაქტორის წერილი

Editor’s Letter

წიგნებისგან განსხვავებით მოდის ჟურნალებს ხშირად მხოლოდ ყდის მიხედვით განსჯიან. ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანის დახმარებით ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ჩვენი ყდა ყურადღებას იქცევდეს თვალისმომჭრელი სიმიდრითა და ფუფუნების მიუწვდომელი სიმაღლეებით სავსე მოდის ჟურნალების გვერდით. თუმცა, მათგან განსხვავებით, ჩვენი ჟურნალის მთავარი თემა პრაქტიკული, ყოველდღიური მოდაა. ჩვენს გვერდებზე ქუჩის მოდისა და წელჩანთების “ტრენდის” ყველაზე გამოცდილ ინფლუენსერებს შეხვდებით - ქალებს თბილისის ბაზრებიდან. ნამდვილ ქალებს ნამდვილი სიტყვებით მოდაზე, სიყვარულზე, შთაგონებასა და მოტივაციაზე.

მადლობა ნინოს, სარას, ვიკას, თეონას, მარინას და ლუიზას თავიანთი ამბავი რომ გვანდეს და დაუვიწყარი ფოტოსესია გვაჩუქეს. მადლობა კოსმოს სუპერენერგიულ გოგონებს შთაგონებისა და კოლაბორაციის ამ გამორჩეული შესაძლებლობისთვის. უდიდესი მადლობა შემოქმედებით გუნდს, ეს განსაკუთრებული ნომერი მთელი გულითა და მონდომებით რომ შექმნა. მოდა ძალიან დიდი სოციალური ძალაა და სასიამოვნო იქნება, თუ ხშირად გამოვიყენებთ ყოველდღიური სიყვარულისა და პრაქტიკული სიკეთის გასაზიარებლად.

გილოცავთ 8 მარტს! ბედნიერ, კომფორტულ და თავისუფალ დღეებს გისურვებთ!

გიორგი ავალიანი

Giorgi Avaliani

პ.ს. როგორც ოფიციალური და სრულუფლებიანი ჩოხიანი ბეტმენი ვაცხადებ, ჩოხჩა ერთ-ერთი ყველაზე კომფორტული და დასამახსოვრებელი წელჩანთაა, რაც ოდესმე მინახავს და მიტარებია. ფოტომტკიცებულება თანდართულია.

Unlike books fashion magazines are often only judged by their cover. With the help of very talented creative people we did everything to make sure ours stands out next to famous publications oozing with extreme opulence, and unattainable standards of luxury. In sharp contrast with those, our magazine concerns itself with everyday, comfortable fashion. Our models are the original streetwear influencers, local fashion icons, and waist bag trendsetters - women from the bazaars of Tbilisi. Real women with real words about fashion, love, inspiration, and motivation.

Thank you Nino, Sara, Vika, Teona, Marina, and Luiza for trusting us with your stories and giving us an unforgettable photoshoot! Thank you super-energetic girls of Cosmo for inspiring and enabling this extraordinary collaboration! Thank you very creative team - so many amazing people who gave their best to make sure this story is told the right way. Fashion is such an incredible social force, and I hope it will be used more to spread everyday love love and practical kindness.

Happy International Women’s Day!

P.S. As an official Georgian Batman I hereby attest that Chokh’cha is one of the most comfortable, extraordinary waist bags I’ve ever had. Photo evidence is included.



სოფო მუხულიშვილი

Sophie Mukhulishvili



თამო აფციაური

Tamo Aptsiauri

კოსმოს შესახებ About Cosmo

“კოსმო” 2015 წელს სოფი მუხულიშვილმა და თამო აფციაურმა ერთობლივი ძალებით დაარსეს, როდესაც სოციალურ ქსელში განათავსეს თავიანთი პირველი ხელნაკეთი ნივთი. თუმცა, ჯერ კიდევ არ იცოდნენ წინ რამხელა გზა ელოდათ.

“Cosmo” was founded by Sophie Mukhulishvili and Tamo Aptsiauri in 2015, when they posted their first handmade item on social media. However, they still did not know how much to look forward to.

“არასდროს მქონია ის შეგრძნება, რომ რადგან ქალი ვარ, რაღაცები არ შემიძლია” - კოსმოს თანადამფუძნებელი და დირექტორი, სოფი მუხულიშვილი.

“I have never had the feeling that because I am a woman, I can’t do something” - Co-founder and Director of COSMO, Sophie Mukhulishvili.

რამდენიმე წლის შემდეგ “კოსმო” ყველაზე მრავალფეროვანი ხელნაკეთი აქსესუარების საწარმო გახდა საქართველოს მასშტაბით. დღესდღეობით კი “კოსმოს” ფერადი და უნიკალური აქსესუარები 7 ფილიალშია წარმოდგენილი. ასევე, მათი პოვნა შესაძლებელია საერთაშორისო ბაზარზეც - როგორც ხელნაკეთი და ვინტაჟური ნივთების პლატფორმაზე “Etsy”, ასევე ჰოლანდიასა და გერმანიაში.

“ჩვენ თავგადასავლების მაძიებლები ვართ, სიახლეებით ვსაზრდოობთ და მუდამ ვფიქრობთ, რა შევქმნათ ახალი და ამავდროულად ჩვენი მომხმარებლების მოლოდინებს ყოველ ჯერზე გადავაჭარბოთ” - ამბობს “კოსმოს” თანადამფუძნებელი სოფი მუხულიშვილი. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული პროდუქტის შექმნაში მომხმარებლებს და პარტნიორებს (ხის მასალისა თუ ტყავის მწარმოებლებს) თავიანთი მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ, რაც “კოსმოს” ასე განსაკუთრებულად აქცევს. ამ ყველა იდეას კი თავს მთავარი დიზაინერი, თამუნა კვირიკაძე, უყრის და ქმნის დიზაინებს, რომლებსაც არაერთხელ მიუნიჭებიათ ბედნიერება ადამიანებისთვის და მათ ცხოვრებაში ფერად და სიყვარულით გაუღენთილ მოგონებად დარჩენილან.

“ჩვენს მომხმარებლებს ბედნიერი წუთების შეგროვებაში ვეხმარებით” - სოფი მუხულიშვილი.

“We help our customers to collect happy moments” - Sophie Mukhulishvili.

ამჟამად კოსმო აწარმოებს 70-მდე დასახელების პროდუქტს. მათ შორისაა: ნატურალური ტყავის ხელნაკეთი ჩანთები, საფულეები და ბაფთები, ნატურალური ხის ბეჭდები, გადამუშავებული ხის საყურეები, ბაფთები, ყელსაბამები, ქიქის დასადგამები, ბროშები, სანიშნეები და ბეჭდები, დლიურები, სხვადასხვა მეტალის ყელსაბამები, საყურეები, სამაჯურები, ბროშები და სხვა აქსესუარები. თითოეული პროდუქტი უნიკალურია და განკუთვნილია სიახლეების და თავგადასავლების მაძიებელი, მეოცნებე და ცნობისმოყვარე ადამიანებისთვის.

A few years later, “Cosmo” became Georgia’s most diverse handmade accessories factory. Today, the colorful and unique accessories of “Cosmo” are presented in 7 branches. They can also be found on the international market - on the handmade and vintage items platform “Etsy” and in the Netherlands and Germany.

“We are adventure seekers, we strive with innovations and are always thinking to create something new and at the same time exceed the expectations of our customers,” says Sofi Mukhulishvili. It should be noted that consumers and partners (manufacturers of wood or leather) make a small but significant contribution to the creation of each product, which makes “Cosmo” so special. The main designer, Tamuna Kvirikadze, combines all these ideas and creates designs that have repeatedly given happiness to people and have remained in their lives’ memories with color, joy and love.

Cosmo currently produces up to 70 types of products. These include genuine leather handbags, wallets and bands, natural wood rings, recycled wood earrings, ribbons, necklaces, cup holders, brooches, bookmarks and rings, diaries, various metal necklaces, earrings, bracelets, brooches, and more. Each product is unique and designed for adventure seekers, dreamers, and curious people.



COSMO

მოდელი: მარინა მოწონელიძე
ფოტოგრაფი: ლეკო ქყონია
ვიზაჟი: კრისტი ვეკუა
თმის სტილისტი: ნათია ქოხური

Model: Marnia Motsonelidze
Photography: Leko Tchkonია
Make-up: Kristi Vekua
Hair stylist: Natia Tchokhuri



წელჩანთა

მსოფლიო მოდის უძველესი
ტენდენცია

Waist Bags

World's Ancient Fashion Trend

ალბათ ყველაზე ძველი მოდის ტენდენცია მსოფლიოში პირველად დაახლოებით 5000 წლის წინ გაჩნდა. პირველი წელჩანთა ცინულის კაცის სამარხში აღმოაჩინეს ალპებში, სადღაც გერმანიასა და ავსტრიას შორის. ნამარხში სხვა ნივთებთან ერთად იპოვეს ხბოს ტყავისგან დამზადებული წელჩანთაც, რომელიც, სავარაუდოდ, ძალიან სახიფათო სიტუაციებშიც კი მისი ერთგული თანაშემწე იქნებოდა. მოგვიანებით, ეგვიპტელები, შოტლანდიელები და ინგლისელი რაინდებიც აქტიურად იყენებდნენ წელჩანთებს მოგზაურობების დროს, ხოლო 80-იანი წლების დასაწყისში ამ აქსესუარმა უფრო თანამედროვე ფორმა მიიღო, რომლითაც დღესდღეობთ ვიცნობთ.

ძირითადად ნეილონისგან დამზადებული ფერადი წელჩანთები პრაქტიკულობის გამო მალევე გახდა პოპულარული ტურისტებს, ჰიპებს, სკეიტერებს და ყველა იმ ადამიანს შორის, რომლებიც აქტიური ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ.

მათ შორის არიან ოჯახების სადარაჯოდ გამოსული მოვაჭრე ქალებიც, რომელთათვის წელჩანთები (მათი პრაქტიკულობიდან და გამძლეობიდან გამომდინარე) ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი და ერთგული თანამგზავრია.

Probably the oldest fashion trend in the world first appeared about 5000 years ago - The Ice Man's tomb was found in the Alps, somewhere between Germany and Austria. In the fossil, among other items, was found a waist bag made of calfskin, which, presumably, would have been his faithful assistant even in very dangerous situations. Later, Egyptians, Scots, and English knights also actively used waist bags during their travels, and in the early 80s, this accessory took on a more modern form as we know it today. Colorful nylon handbags due to their practicality soon became popular among tourists, hippies, skaters, and everyone, who lead an active lifestyle.

Among them are women traders, for whom handbags are an integral part of everyday life and a faithful companion.

ჩოხჩა

ეროვნული სიმბოლო, როგორც
ყოველდღიური აქსესუარი

ისტორია
ჩოხა მამაკაცის ტრადიციული სამოსია, რომელსაც მთელ კავკასიაში ატარებენ. საუკუნეების განმავლობაში იგი ქართული ეროვნული იდენტობის სიმბოლოდ იქცა, მაგრამ ახალგაზრდა თაობაში ყოველდღიური ფუნქცია და ტრენდულობა დაკარგა. დღესდღეობით ჩოხა საკმაოდ ძვირადღირებული შესამოსელია და განკუთვნილია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევებისთვის როგორც ქართული, ხალხური ცეკვის კოსტუმი, ასევე ქორწილებისთვის, დიპლომატიურ შეხვედრებისთვისა თუ საზოგადოებრივი ღონისძიებებისთვის.

Chokh’cha

Reinventing the National Icon As a Daily
Accessory

Background
Chokha is a traditional male dress worn all over the Caucasus region. Through many centuries it has become a symbol of Georgian national identity, but it has lost its daily function and fashion momentum among younger audiences. Today chokhas are priced high and are only reserved for special occasions - as a folk dance costume or formal attire during weddings, diplomatic meetings, and public gatherings.

ტრადიცია & გამოყენება
ხედვით, რომ ეროვნული იდენტობა კვლავ გახდეს ახალგაზრდების ყოველდღიური ცხოვრების აქტუალური ნაწილი, ჩვენმა დიზაინერთა გუნდმა გადაწყვიტა შეექმნა ყველაზე პოპულარული თანამედროვე აქსესუარი ქართული ელფერით. საკულტო სამასრისა (რომელიც თავდაპირველად მასრების ან ღენტის ჩასადებად გამოიყენებოდა) და კომფორტული წელჩანთის სინთეზით შექმნილი “ჩოხჩა” თავისი წინაპრის სახელს ატარებს.

ტრადიციულ ფორმას სასარგებლო ფუნქციებით დატვირთვა ხელს უწყობს საკულტო ნაციონალური შესამოსელის პოპულარობას ყველაზე მოულოდნელ ადგილებში - ყავის კაფეებში, ბარებში, საცეკვაო მოედნებზე, სუპერმარკეტებში, უნივერსიტეტებში და ცნობილი ადამიანების გარდერობებში. პირველი კოლექცია ყოველგვარი რეკლამირების გარეშე ამოიყიდა. ჩოხჩა მრავალი განსხვავებული ფერისგან და მასალისგან მზადდება, რაც ამ წელჩანთას უფრო მიმზიდველს და მისაწვდომს ხდის ფართო აუდიტორიისთვის. მოგვიანებით, რათა ყველაფერი უფრო ოფიციალური გამხდარიყო, დიზაინმა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრისგან ოფიციალური პატენტი მოიპოვა.

Design-A-Bag 2022 საერთაშორისო
კონკურსის გამარჯვებული
“ხალხის რჩეული”



Women from the Bazaar

Tradition + Utility
With a vision to make national identity a relevant part of everyday life for young people again, our design team decided to create the most popular modern accessory with a very Georgian twist. Incorporating the iconic cartridge holders (originally designed to carry bullets or gunpowder) into a comfortable waist bag with multiple pockets, Chokh’cha is named after the original.

Adding a useful function to the traditional form has helped bring the iconic national costume to the most unexpected places - ordinary coffee shops, bars, dance floors, supermarkets, universities, and celebrities’ closets. The first batch was immediately sold out without any additional promotion. Chokh’chas come in many different colorways and materials, making the waist bag even more appealing and accessible to wider audiences. To make things official, the original design has been granted an official patent from the National Intellectual Property Centre of Georgia.

Winner of Design-A-Bag 2022 International Competition
“Online Favorite Design”

საქართველოს
ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი
„საქპატენტი“

(11) GE D 2021 902 S

(51) Int. Cl. (13) 03-01
(28) 5

დიზაინი

(21) AD 2021 1223
(45) 2021 08 10 №14

(22) 2021 06 14

(24) 2021 06 14

(18) 2026 06 14

შპს. კოსმო, თბილისი ქვემო ქართლი (GE)
შპს. კოსმო, სოფიო მუხლიშვილი (GE)

(54) 1.-2. ჩანთა; 3.-5. წელის ჩანთა

(55)

1-1

1-2

1-3

2-1

2-2

2-3

2-4

2-5

2-6

3-1

3-2

3-3

3-4

3-5

4-1

5-1

5-2

5-3

5-4

5-5



აშშ-ს სენატორი ედუარდ კენედი თბილისის დეზერტირების ბაზარში, 1974

USA senator, Edward Kennedy in Deserter Bazaar, Tbilisi, 1974

დეზერტირების ბაზრობის ისტორია

თბილისის ცხოვრებაში ბაზარი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა. საბჭოთა პერიოდში თბილისის ყველაზე დიდი ბაზარი **დეზერტირების ბაზარი** იყო**. ** ეს სახელწოდება 1920-იან წლებში დამკვიდრდა, რადგანაც ჯარისკაცები ბაზრის ტერიტორიაზე საკუთარ აღკაზმულობას, იარაღსა და სხვა ნივთებს ჰყიდნენ. ბაზრებში ზოგჯერ ახალი ამბების გასაგებადაც დადიოდნენ, რადგანაც მაშინ იგი ქალაქის მთავარი საკომუნიკაციო ეპიცენტრი იყო. ასევე, ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ჯარიდან გამოქცეული დეზერტირები ბაზარს აფარებდნენ თავს, სადაც ერთხელაც ალყა შემოარტყეს და გააციმბირეს.

ბაზრის იერსახე 2007 წელს განაახლეს და შედარებით გათანამედროვეებული, გაპრიალებული ფასადის მშენებლობა, რომელსაც დღეს ხედავთ, 2012 წელს დასრულდა. ამისათვის, დახლების მეპატრონეებს სთხოვეს დროებით დაეტოვებინათ შენობა, თუმცა, უმეტესი მათგანი უკან არასდროს დაბრუნებულა. სამაგიეროდ ახალი ნიშა იპოვეს- გადაინაცვლეს ქუჩებში, ავტოსადგომებზე თუ ჩიხებში, სადაც დღემდე ყიდიან თავიანთ პროდუქტს. ეს ყველაფერი კი დეზერტირების ბაზარს განსაკუთრებულ ატმოსფეროს აძლევს.

დღესდღეობით დეზერტირების ბაზარში შეგიძლია, შეიძინო ყველაფერი, რაც სულსა და გულს უხარია, გამოელაპარაკო უამრავ ადამიანს, ქარში გაფანტული სუნელების არომატი შეიგრძნო და ქორფა, პრიალა დახვავებული ხილ-ბოსტნეულიც დაათვალიერო. აქვე იპოვი ვინტაჟური, მეორადი ტანსაცმლის მაღაზიებს, სადაც საფუძვლიანი ძებნის შემდეგ აუცილებლად აღმოაჩენ რამეს განსაკუთრებულს, თანაც ძალიან იაფად.

History of Deserter Bazaar

The market has always played a big role in Tbilisi's daily life. During the Soviet period, the largest market in Tbilisi was the Dezerter Bazaar. The name was coined in the 1920s as soldiers sold their military equipment, weapons, and other items in the market area. People used to visit the markets to get some news, as it was then the communication epicenter of the city. Also, legend has it that deserters fleeing the army took refuge in a market, where they were once besieged and exiled to Siberia.

The look of the market was renewed in 2007 and the construction of the relatively modern, polished façade you see today was completed in 2012. To do this, the owners of the counters were asked to temporarily leave the building, however, most of them never returned. Instead, they found a new niche - moving to the streets, parking lots, or alleys, where they still sell their products. All this gives a special atmosphere to the Dezerter Market.

Nowadays, you can buy everything here, that makes your soul and heart rejoice, talk to a lot of people, feel the aroma of spices scattered in the wind and even glance through the glossy, piled fruits and vegetables. Here you will find vintage, second-hand clothing stores, where after a thorough search you will find something special to you at a very affordable price.



ქალების შესახებ

ქალთა საერთაშორისო დღე მსოფლიოში ყოველწლიურად მარტის თვეში აღინიშნება და წარმოაჩენს ქალთა სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიღწევებს. ეს დღე ასევე საზოგადოებას მოუწოდებს მოქმედებისკენ მსოფლიოში სქესთა შორის თანასწორობის დამყარებისთვის.

ქალთა საერთაშორისო დღის საპატივცემულოდ, თბილისის ბაზრების გამყიდველი ქალების უნიკალური ისტორიები შევაგროვეთ, რომლებიც გაუღენთილია ინდივიდუალური ტკივილით, სიხარულით, იმედგაცრუებით, მისწრაფებებით, ოცნებებით, მიღწევებით- გრძნობებით, რომლებიც ძირითადად მასკულიზურ-დომინანტურ კულტურაში იჩქმალება და ყურადღების მიღმა რჩება.

პატრიარქალურ საზოგადოებაში არაპრივილეგირებული ქალების ხმა არ ისმის, მეტიც ქალების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი ხმა არც უნდა იყოს უღერადი. ამ კუთხით პროექტის განხორციელების პროცესში ბევრ დაბრკოლებას წავანყდით. ზოგიერთი შერჩეული მოვაჭრე ქალების ქმრები და შვილები ფოტოსესიამდე ერთი ღამით ადრე გვიკავშირდებოდნენ და შეუბოჭავი აგრესიით გვიკრძალავდნენ თავიანთ ცოლებთან და დედებთან თანამშრომლობას.

ალბათ, დადგება დრო, როდესაც ქალთა დღე აღარ იარსებებს, რადგან ერთ დღესაც თანასწორობა ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილი იქნება და ქალებს აღარ დასჭირდებათ თავიანთი სიძლიერის სხვებისათვის დამტკიცება.

წარმოგიდგენთ 6 გარემოვაჭრე მამაც ქალს, რომელთა დახლთანაც, შეიძლება ხშირად ჩაგივლიათ, კოხტად დალაგებული ნაირ-ნაირი პროდუქტი შეგითვალიერებიათ და ,ალბათ, შევაჭრებისხართ კიდევ.

Women from the Bazaar

About Women

International Women's Day is celebrated annually around the world in March and showcases the social, cultural, economic, and political achievements of women. This day also calls on the public to take action to establish gender equality in the world.

In honor of International Women's Day, we have collected unique stories of trader women, which are imbued with individual pain, joy, frustration, aspirations, dreams, or achievements - feelings that are largely obscured and ignored in the masculine-dominant culture.

In a patriarchal society the voices of non-privileged women are not listened to, moreover, a great majority of women believe, that their voices should not be heard either. In this regard, we encountered many obstacles during the project implementing process. Husbands and sons of selected trader women contacted a night before the photoshoot and barred us from collaborating with their mothers and wives with unbridled aggression.

Perhaps, the time will come, when Women's Day will cease to exist because one day it will be our every day and women will no longer need to prove their strength to others.

Meet 6 brave women traders, from whom you may have bought your groceries someday or other.



ნინო ხუციშვილი

Nino Khutsishvili

“ძალიან მიყვარს ის შეგრძნება, ყოველდღე სამსახურში როცა მივდივარ და პარფიუმერიის რიგს ჩავივლი, თავი პოდიუმზე მგონია ხოლმე.”

“I love the feeling, when I go to work and walk through the perfume stalls, I think of myself on a runway.”

რას საქმიანობთ?

დაახლოებით 12 წელია რაც დეზერტირების ბაზარში ყველის დახლი მაქვს. ყოველდღე 9 საათიდან 8 საათამდე იქ ვარ ხოლმე.

ყველაზე მეტად რისი ჩაცმა ან ტარება განიჭებთ სიამოვნებას?

ჩემი ყოველდღიური რუტინიდან გამომდინარე, მომწონს, როდესაც სილამაზეს და პრაქტიკულობას ერთმანეთს ვუხამებ. ასევე, ძალიან მიყვარს დიდი და ბრწყვიალა საყურეების ტარება.

რომელ ფერს ანიჭებთ უპირატესობას?

ყველა ფერი მიყვარს, უფრო მეტად უპირატესობას ვანიჭებ მუქ მწვანეს და შავს.

გაქვთ რამე საყვარელი აქსესუარი რომელსაც ყოველდღე ატარებთ?

კი, ვერცხლისფერი ბრწყვიალა თვლებით გაწყობილი ჩანთა მაქვს, რომელიც ყოველდღე დამაქვს თან.

Tell us about your business.

It has been 12 years since I have had a cheese stall in Dezerter Bazar. I am there every day from 9 am to 8 pm.

What do you enjoy wearing the most?

Due to my lifestyle, I love when I combine beauty and practicality. I also enjoy wearing big shiny earrings.

Which color do you love the most?

I love all colors, but I love dark green and black especially.

Do you have a favorite accessory, that you wear every day?

Yes, I have a bag made of silver glitter gems that I take with me every day.

რის გარეშე ვერ გახვიდოდით სახლიდან?

ჩანთაში სულ მაქვს კოსმეტიკა, რადგანაც ვცდილობ მუდამ კარგად გამოვიყურებოდე, სადაც არ უნდა ვიყო.

რამდენ დროს უთმობთ თავის მოვლას?

ყოველდღე 9 საათზე ვიღვიძებ და სანამ სახლიდან გავალ მოწესრიგებას, მაკიაჟის გაკეთებას დაახლოებით 1 საათს ვუთმობ ხოლმე.

შეგიძლიათ, გაიხსენოთ როგორი კაბა გეცვათ ქორწილში?

ქორწილში თეთრი, ფუშფუშა, კორსეტიანი კაბა მეცვა, ცოტათი არ მომწონდა, რადგან შევეკვეთეთ და ისეთი არ გამოვიდა, როგორსაც ველოდებოდი.

ვინ განიჭებთ ყველაზე დიდ მოტივაციას და ძალას?

ჩემი თავის მოტივაცია თვითონვე ვარ. ყოველდღიურად ვცდილობ, რომ სულ ფორმაში ვიყო და კარგად გამოვიყურებოდე, რადგან მსიამოვნებს, როცა კომპლიმენტებს მეუბნებიან.

რა რჩევას მისცემდით სხვა ქალებს?

ვეტყოდი, რომ თავს გაუფრხილდნენ და ეცადნონ, რომ ყოველთვის ლამაზად გამოიყურებოდნენ.

Without what you could not leave the house?

I always carry cosmetics in my bag, because I always try to look and feel good, wherever I am.

How much time do you spend on self-care?

I wake up at 9 a.m. every day and spend about 1 hour for self-care and makeup before I leave the house.

Can you remember what kind of dress you wore to the wedding?

I wore a white, puffy, corset dress to the wedding, I did not like it at all, because we ordered it and it did not turn out as expected.

Who gives you the biggest strength and motivation?

I am my motivation and try to be in a good shape and look pretty every day because I enjoy it a lot when I receive compliments.

What advice would you give to other women?

I would tell them to always take care of themselves and try to look beautiful.

“იყავით
ყოველთვის
ლამაზები,
ჩემო
ძვირფასებო!”



“Be always
beautiful, my
dears!”



სარა ლაიმბერგი

Sara Leymberg

“ვფიქრობ, რომ იქამდე ხარ
ცოცხალი, სანამ ოცნებობ.”

“I think you are alive until you keep dreaming...”

“სანამ ტანსაცმლის გამყიდვლად დავიწყებდი მუშაობს, ლიტვაში ვსწავლობდი და ვცხოვრობდი, სადაც მოდელადაც ვმუშაობდი, მქონდა გაფორმებული კონტრაქტები სხვადასხვა სააგენტოებთან, შვეიცარიულ სააგენტოებთანაც მიმუშავია. ერთხელ სილამაზის კონკურსში მე-3 ადგილი ავიღე. მერე გავთხოვდი და მომიწია თავი დამეწებებინა. ახლა უკვე 2 შვილი და 3 შვილიშვილი მყავს.” - გვიყვება სარა თავის წარსულ ცხოვრებაზე.

როგორ აღწერდით თქვენი ჩაცმის სტილს?

ძალიან მომწონს ბოჰემური სტილი, ჩემთვის თავისუფალიც არის, პრაქტიკულიც და ძალიან ლამაზიც.

საყვარელ ფერს თუ გამორჩევდით?

თითქმის ყველა ფერი მიყვარს, გააჩნია როგორ ხასიათზე ვარ. გამორჩეულად მიყვარს შავი და თეთრი, მუქი მწვანეც ძალიან მომწონს. რომელ ფერს ანიჭებთ უპირატესობას?

საყვარელი ბრენდი?

ძალიან მომწონს ვიქტორია სიქრეტის კოლექციები.

“Before starting my clothing business, I studied and lived in Lithuania, where I also worked as a model, I had signed contracts with various agencies, I also worked for Swiss agencies as well. I once took 3rd place in a beauty contest. Then I got married and had to give up my career. I now have 2 children and 3 grandchildren.” - Sara tells us about her past life.

How would you describe your style?

I like the bohemian style, for me, it is free, practical, and very beautiful also. What do you enjoy wearing the most?

Do you have a favorite color?

I love almost all colors, but it depends on my mood. I like black and white particularly, I also like dark green very much.

Favorite brand?

I love collections of “Victoria’s Secret”.

გაქვთ საყვარელი აქსესუარი, რომელსაც სულ თან ატარებთ?

კი, ყელსაბამი მაქვს ებრაული ჰამსას* გამოსახულებით, რომელის სულ მიკეთია. ზოგადად “ჰამსა” ებრაელების საყვარელი სიმბოლოა. ძალიან მიყვარს ეს სიმბოლო.

ქორნილის კაბა თუ შეგიძლიათ, რომ გაიხსენოთ?

ქორნილში ისეთი უცხო კაბა მეცვა, როგორიც მეთვითონ ვარ. ზუსტად როგორი იყო, ვერ ვიხსენებ.

რაზე ოცნებობთ?

იცით, ბევრი ოცნება მაქვს, ბავშვობიდანვე მეოცნებე ვიყავი. ვფიქრობ, რომ იქამდე ხარ ცოცხალი, სანამ ოცნებობ...

რა განიჭებთ ყველაზე დიდ ძალას და მოტივაციას?

ჩემი მეუღლე. ძალიან საინტერესო ადამიანია. ის ჩემთვის ყველაფერია.

რჩევა, რომელსაც მისცემდით სხვა ქალებს?

ბედნიერი უნდა იყო და აუცილებლად ლამაზი იქნები. პირველ რიგში, რაც არ უნდა მოხდეს მუდამ უნდა დარჩე ადამიანად, შემდეგ კი ქალად და ყოველთვის ძალიან ლამაზი იქნები.

- როგორია თქვენთვის ნამდვილი ქალი?

ქალი, რომელსაც უყვარს და რომელიც უყვართ.

Do you have a favorite accessory that you always carry with you?

Yes, I have a necklace with the image of the Jewish Hamsa* that I wear all the time. In general, “Hamsa” is a favorite symbol of the Jews. I love this symbol very much.

Could you recall your wedding dress?

I wore an exotic, white dress like myself. But I can’t remember what it looked like exactly.

What do you dream about?

I have a lot of dreams, you know. I have been a dreamer since childhood. I think you are alive until you keep dreaming...

What gives you the most strength and motivation?

My husband. He is a very interesting person. He is everything to me.

What kind of advice would you give to other women?

You should be happy and you will be beautiful. First of all, no matter what happens, you should always remain human, and then a woman, and you will always look gorgeous.

How can you describe a real woman?

To me, a real woman loves and is loved.

“ბედნიერი უნდა იყო და აუცილებლად ლამაზი იქნები.”



“You should be happy and you will be beautiful.”



ჰამსა - ღვთის ხელის სიმბოლო, უძველესი ახლო აღმოსავლეთის ამულეტი. ყველა სარწმუნოებაში დამცველობითი ნიშანის ფუნქციის მატარებელია. მფლობელისთვის მოაქვს ბედნიერება, იღბალი, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

Hamsa is an ancient Middle Eastern amulet symbolizing the Hand of God. In all faiths, it is a protective sign. It brings its owner happiness, luck, health and good fortune.

ვიკა აგრიშკოვა



Vika Agrizkova

ვიკამ ინტერვიუზე მტკიცე უარი
გვითხრა, სამაგიეროდ გადაღებაზე
ისე სახასიათოდ პოზირებდა,
საიდუმლოდ არაფერი არ დარჩენია.

P.S ვიკა და სარა ძალიან ახლო მეგობრები არიან.

Vika firmly refused to take part in the interview, but she posed so
characteristically for the photoshoot, that she left nothing untold.

P.S Vika and Sara are very close friends.





მარინა მოჭონელიძე

Marina Motsonelidze

“მთავარია, რომ ჯერ გული გქონდეს
ღამაზი და თუ ასეა, მაშინ ღამაზი
იქნები.”

“It is the most important to have a beautiful heart and if
so, you will be beautiful.”

“მოსკოვში ვცხოვრობდი დაახლოებით 25 წელი ჩემს ქმართან ერთად, გვქონდა ჩვენი პატარა ბიზნესი, ყვავილებს ვყიდდით და ძალიან ბედნიერად ვცხოვრობდით. ჩემმა ქმარმა მომიტაცა, მე-9 კლასში ვსწავლობდი მაშინ და სკოლიდან რომ მოვდიოდი, წამიყვანა. თვითონ ჩემზე 1 წლით უმცროსი იყო. ისეთი ცხოვრება მქონდა, ალბათ ზღაპარშიც რომ ვერ ინატრებდა კაცი. ერთ მშვენიერ დღეს ჩემი მეუღლე ავარიაში დამელუბა, მოსკოვში ვეღარ შევძელი გაჩერება და საქართველოში დავბრუნდი. აქ რომ ჩამოვედი მცხეთაში, ერთ-ერთ რესტორანში დავიწყე მუშაობა, ახლა კი დეზერტიერების ბაზარში ხილს ვყიდი.” - მარინა მოჭონელიძე.

რა დატვირთვა აქვს თქვენთვის ტანსაცმელს და აქსესუარებს?

ჩაცმა ჩემს ცხოვრებაში არის პირველი. ჩემი აზრით, ყველა ადამიანს უხდება ღამაზად ჩაცმა. მაგალითად, თუ მაცვია კაბა, იმ კაბის შესაფერისი “პორტფელი” და ფეხსაცმელი უნდა მეცვას. ძალიან ბევრი ტანსაცმელი მაქვს.

საყვარელი ფერი?

ჩემი ყველაზე საყვარელი ფერია წითელი. მწვანეც ძალიან მომწონს. ეს ფერები განსაკუთრებით მიხდება.

“I lived in Moscow for about 25 years with my husband, we had our own small flower business, and lived very happily. My husband kidnapped me when I was in the 9th grade- I was returning home from school and he took me. He was 1 year younger than me. I had a life like in a fairy tale, a life everyone would dream about. One day my husband died in an accident. I could not live in Moscow any longer and returned to Georgia. When I arrived, I started working in a restaurant in Mtskheta, and now I sell fruits in the Dezerter Bazaar.” - Marina Motsonelidze.

How important are style and fashion in your life?

Style is the most important thing in my life. In my opinion, every person has to dress nicely. For example, if I am wearing a dress, I must wear a suitable clutch and shoes to that dress. I have a lot of clothes in my closet.

What about your favorite color?

My favorite color is red. I like green, too. I think these colors suit me the most.

შეგიძლიათ, გაიხსენოთ აქსესუარი ან ტანსაცმელი, რომელიც ყველაზე კარგ ან მძაფრ მოგონებებთან ასოცირდება?
ჩემი მეუღლის ნაყიდი 6000\$-იანი ე.წ “ბრილიანტის ნორკის შუბა”, რომელიც მთელი ცხოვრებაა მაქვს და ალბათ მიწაშიც ჩამყვება.

აქსესუარი, რომლის გარეშეც სახლიდან ვერ გახვალთ...
(უბიდან ვერცხლის დიდი ჯვარი ამოაქვს და გვაჩვენებს) აი, ამის გარეშე. ჩემი ქმრის დანატოვარია და ალბათ, რომ წავალ ჩემს ქმართან, თან წავიღებ.

როგორია თქვენი ყველაზე საყვარელი ჩანთა?
წითელი ლაკის უძვირფასესი ჩანთა მაქვს.

ყოველდღიურად რამდენ დროს უთმობთ თავის მოვლას?
ვაიმე, რაც ვაჭრობა დავიწყე, არაფრის დრო აღარ მაქვს. დილის 9 საათზე სახლიდან რომ გამოვდივარ, უკან 8 საათზე ვბრუნდები. ამიტომ ახლა პრანჭიობას თავი დავანებე, მაგრამ მოსკოვში როცა ვცხოვრობდი, თავის მოვლას ძალიან დიდ დროს ვუთმობდი. ძალიან მიყვარდა მაკიაჟი და წითელი პომადა.

რა ან ვინ განიჭებთ ყველაზე დიდ მოტივაციას?
მე მყავს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ძმის შვილი მათე და მისი ორი გოგო, რომლებიც ჩემი სული და გული არიან. ერთი დღეც არ მინდა მათ გარეშე ცხოვრება. ისინი ყველაფერი არიან ჩემთვის. ახლა ესპანეთში ცხოვრობენ და ყოველ 10 დღეში ერთხელ საჩუქრებს მიგზავნიან.

რაზე ოცნებობთ?
პირველ რიგში, ჯანმრთელობაზე ვოცნებობ, შაქრიანი ვარ. 10 დღე კომაში ვიყავი, კომიდან გამოვიდოდი თუ არა, არავინ იცოდა. ძალიან ბევრი რამე მაქვს “იქაური” ნანახი. ჯანმრთელობის და მათეს კარგად ყოფნის გარდა სხვა არაფერი მაინტერესებს.

რა რჩევას მისცემდით სხვა ქალებს?
ყველა ქალმა უნდა იცოდეს, რომ ის ქალია; ყველა ქალმა ჯერ საკუთარი თავი უნდა დააფასოს და მერე სხვას უნდა სცეს პატივი. მთავარია, რომ ჯერ გული გქონდეს ლამაზი და თუ ასეა, მაშინ ლამაზი იქნები. ყველა ქალს ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, სილამაზეს და ყოველივე კარგს.

Can you recall an accessory or outfit associated with the best and/or strongest memories?
My husband bought me a \$ 6,000 so-called “diamond Norka fur coat”, which I have had all my life and will probably be buried with it.

An accessory without which you can not leave the house ...
(Pulls out a large silver cross and shows it to us) Here, I can not leave the house without this. It is a gift from my husband and I will carry it with me when I rejoin him.

What does your favorite bag look like?
I have a red glossy bag, which is very dear to me.

How much time do you spend on self-care?
Ah, since I started trading, I have had no time for these kinds of things. When I leave the house at 9 a.m., I come back at 8 o’clock. So for now I have given up on showing off, but when I lived in Moscow, I spent a lot of time taking care of myself. I loved wearing makeup and red lipstick.

Who or what motivates you the most?
I have only my niece Matthew and his two daughters, who are my soul and heart. I do not wish to live without them even for a day. They are everything to me. They now live in Spain and send gifts to me every 10 days.

What do you dream about?
First of all, I dream of health, as I have diabetes. I was in a coma for 10 days, no one knew if I would get out of it. I have seen a lot of things “there”. I care about nothing but my health and the well-being of Matthew and his children.

What would you advise other women?
Every woman should know that she is a woman; Every woman should first value herself and then respect others. It is most important to have a beautiful heart and if so, you will be beautiful. I wish all women health, long life, beauty, and all the best.

“ჩაცმა ჩემს ცხოვრებაში არის პირველი.”



“Style is the most important thing in my life.”



თეონა ბეგლარაშვილი

Teona Beglarashvili



“ყველა ქალს ვეტყოდი, რომ არასდროს არ დათმონ არაფერი და იბრძოლონ თავიანთი ბედნიერებისთვისა და წინსვლისთვის.”

“I would tell all women to never give up and fight for their happiness and progress.”

ვინ არის ყველაზე ძლიერი ქალი თქვენს ცხოვრებაში?

ჩემთვის ყველაზე ძლიერი ქალი ბებიაჩემია, მას მიჩნევ უძლიერეს ადამიანად. ბებიას უკვე 45 წელია საკუთარი სუნელების საწარმო აქვს, რომელიც ნახევარ საქართველოს და ევროპის ქვეყნებსაც ამარაგებს. ამხელა საქმეს თითქმის დამოუკიდებლად უძღვება.

თქვენც ამ ბიზნესში ხართ ჩართული?

კი, ბებიას სუნელების რეალიზაციაში ვეხმარები. დღეში დაახლოებით 10 საათი ვმუშაობ, კვირაში 7 დღე. თუმცა, ვცდილობ, რომ საკუთარი თავიც არ დავვიწყო და მივხედო საკუთარ თავს და შვილებსაც.

რა დატვირთვა აქვს თქვენთვის ტანსაცმელს და აქსესუარებს?

გემოვნებიან და ხარისხიან ტანსაცმელს ვანიჭებ უპირატესობას. აი, ახლა მარკო პოლოს ტყავის ქურთუკი მაცვია მაგალითად.

Who is the strongest woman in your life?

The strongest woman for me is my grandmother, I consider her the most powerful person I have ever met. My grandmother has had her spice factory for 45 years, which supplies half of Georgia and also European countries. She leads this business almost independently.

Are you involved in this business as well?

Yes, I help my grandmother with selling her product. I work about 10 hours a day, 7 days a week. However, I try not to forget who I am and take care of myself, and spend time with my children.

How important is a style in your life?

I prefer tasteful and quality clothes. For instance, I am wearing a Marco Polo leather jacket at the moment.

რომელი ფერი გიყვართ გამორჩეულად?

მწვანე- ვთვლი, რომ ჩემი ფერია და მიხდება.

როგორი ტანსაცმელი განიჭებთ ყველაზე დიდ თავდაჯერებულობას?

ჰმ, სალამოს კაბებს გამოვარჩევდი. ჩემს გარდერობში ბევრი მოიპოვება ასეთი. თუმცა, ამ პანდემიის გამო ხშირად ვეღარ გავდივარ ისეთ ადგილებში, სადაც მათ ჩაცმას შევძლებდი.

აქსესუარი, რომელსაც ყოველდღე ატარებთ...

ბუნებრივი ქვების გარეშე სახლიდან არ გავდივარ, ზოდიაქოთი მორიელი ვარ და ამ ნიშნის შესაბამისი ქვები მიკეთია მაჯაზე.

ვინ განიჭებთ ყველაზე დიდ ძალას?

ჩემთვის ყველაზე დიდი ძალა ჩემი შვილებია, რომლებისთვისაც მართლა ღირს ცხოვრება და ბრძოლა. საკმაოდ შრომატევადი და დაძაბული პერიოდები გამომივლია, თუმცა, როცა მახსენდება, რომ ამ ყველაფერს ჩემი შვილებისთვის ვაკეთებ, ბევრჯერ წავსულვარ დათმობაზე და საკუთარი თავისთვის გადამიბიჯებია.

რას ნიშნავს თქვენთვის დედობა?

ალბათ, ქალისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება დედობის გამოცდილებაა. არ ვიცი, ამაზე დიდი სიხარული რას შეუძლია, რომ მოგიტანოს. ჩემი შვილების ბედნიერებისთვის და წარმატებისთვის ძალღონეს არ ვიშურებ.

რაზე ოცნებობთ?

ვოცნებობ, რომ ჩემი შვილები ბედნიერები და წარმატებულები იყვნენ. დანარჩენი თითქმის ყველაფერი ავისრულე, რაზეც ბავშვობაში მიოცნებია.

რა რჩევას მისცემდით სხვა ქალებს?

ყველა ქალს ვეტყოდი, რომ არასდროს არ დათმონ არაფერი და იბრძოლონ თავიანთი ბედნიერებისთვისა და წინსლისთვის. არავის გამო არ ღირს ცრემლები და რამეზე უარის თქმა. ყველანაირად უნდა ეცადნონ, რომ იყვნენ ბედნიერები. რა თქმა უნდა, ეს არაა ადვილი, მაგრამ, ვფიქრობ, თუ ძლიერი და შემდგარი ხარ, მოახერხებ ამ ყველაფერს და დაამსხვრევ ქალების გარშემო დამკვიდრებულ სტერეოტიპებს.

პირადად, თავს დამოუკიდებელ ქალად მივიჩნევ, რადგან არავიზე ვარ დამოკიდებული და ყოველთვის თვითონვე ვაგვარებ ჩემს ყველა პრობლემას. ვფიქრობ, კაცის საქმეებსაც კარგად ვითავსებ. ქალებს ყველაფერი შეგვიძლია.

Which color do you like the most?

I like green - it is my color and it suits me.

What kind of clothes make you feel confident?

Hmm, I would pick out evening dresses. There are many such in my wardrobe. However, because of the pandemic, I am not able to go out, so I haven't worn them for a long time.

Accessory, that you wear every day...

I do not leave the house without natural stones, my star sign is Scorpio and I wear stones corresponding to this sign.

Who or what gives you the greatest strength?

The greatest strength for me is my children, for whom I will always live and fight. Quite intensive and stressful times have passed, however, when I realize that I am doing all this for my children, I make many compromises and step over my principles.

What does motherhood mean to you?

Probably the greatest happiness for a woman is the experience of motherhood. I do not know what can bring you greater joy. I spare no effort for the happiness and success of my children.

What do you dream about?

I dream about my children's happiness and success. Other than that, I think I have fulfilled all my childhood wishes.

What advice would you give to other women?

I would tell all women to never give up and fight for their happiness and progress. It's not worth shedding tears and giving up on anything because of anyone. They should try their best to be happy. Of course, this is not easy, but I think if you are strong and stable, you will be able to do all this and break the stereotypes that exist about women.

I consider myself an independent woman because I do not rely on anyone and I always solve all my problems by myself. I think I manage to take up a role of a man as well. Us, Women can do everything.

“ქალებს ყველაფერი შეგვიძლია.”



“Us, Women can do everything.”



A portrait of Luiza Aslanova, a woman with blonde hair pulled back, wearing large, round, light-colored sunglasses and a wide smile. She is wearing a beige trench coat over a colorful, patterned scarf. A pink and blue bag with a zipper and a ring is slung over her shoulder. The background is a solid grey.

ლუიზა ასლანოვა

Luiza Aslanova

“ერთხელ ჩემთან სავაჭროდ
ბიჭები მოვიდნენ. საქმეს
გაკეთებდი და თავი დახრილი
მქონდა, რომ ავიხედე,
გაოცდნენ, ასეთი ლამაზი
თვალები ჯერ არ გვინახიაო.”

“Once several boys came to
trade with me. I was doing some
stuff and had my head tilted
downwards. When I looked at
them, they were astonished and
said, they have never seen such
beautiful eyes in their lives.”

“უვარგისი კაცი აღმოჩნდა
და რად მინდოდა. თბილისში
დავბრუნდი, აქ დიდი ოჯახი
მყავს და ჩემი ყოფილი ქმარი
მის მერე აღარ მინახავს.”

ინტერვიუზე ლუიზამაც უარი გვითხრა, თუმცა, გადაღების მერე სანამ ტაქსს ელოდებოდა, თავისი ცხოვრების შესახებ რამდენიმე სიტყვის თქმა მოასწრო. მომიყვა, რომ 14 წლის გათხოვდა და თავის ქმართან ერთად რუსეთში ცხოვრობდა, თუმცა, ეს კაცი ლოთი აღმოჩნდა და უკან დაბრუნება გადაწყვიტა.

Luiza also refused to give us an interview, however, after the photo shoot, while waiting for a taxi, she managed to say a few words about her life. She told me that she got married at the age of 14 and was living in Russia with her husband, however, this man turned out to be a drunk and she came back to Georgia.

“He turned out to be worthless,
why would I need him. I
returned to Tbilisi, I have a big
family here and have not seen my
ex-husband since then.”





ჯაბა ქურთიშვილი Jaba Kurtishvili

25, სტილისტი, მხატვარი, ევროპული
მხატვრობის რესტავრატორი

25, Stylist, Artist, European Fine Art Restorer

წელჩანთები ჩემთვის ყოველთვის ბაზართან ასოცირდებოდა, რადგანაც მათ ხშირად ვამჩნევდი მემწვანილეების თუ მენაყინეების ჩაცმულობაში და ამიტომ ეს აქსესუარი ყოველთვის ძალიან მომწონდა.

ვფიქრობ, ეს პროექტი განსაკუთრებულად საინტერესო იყო, რადგანაც ჩვენ არ გვითანამშრომლია პროფესიონალ მოდელებთან, როგორც ეს სტანდარტულად ხდება ხოლმე - მოდელები არა სააგენტოების ვებგვერდებიდან, არამედ ბაზრობებიდან ავარჩიეთ. ამ ადამიანებს არასდროს ჰქონიათ კავშირი ამ სფეროსთან, მათთვის ეს ყველაფერი თავდაპირველად ცოტა უჩვეულო იყო და ჩვენდამი უნდობლობის განცდაც კი ჰქონდათ. ჩემთვის ამ მხრივ პროექტი საინტერესო იყო, რადგანაც რაც უფრო რთულია თემა, უფრო მეტად მსიამოვნებს მასზე მუშაობა.

შერჩეული ლუქები მინდოდა ყოფილიყო მაქსიმალურად ავთენტური ანუ მოდელების გარეგნობასთან და ხასიათთან შესაბამისი და ამავდროულად ეკლექტიკურიც, რადგან მსგავსი ტანსაცმლით ისინი სამსახურში არ დადიან ხოლმე. ვეცადე, რომ ეს სწორედ ბალანსი დამეჭირა ორგანულობასა და ეკლექტიკურობას შორის. მაკიაჟს კი ადგილზევე ვიფიქრებდით მოდელის ხასიათთან და მის პერსონასთან შესაბამისად.

გარემოვაჭრე ქალების შერჩევის პროცესი გამორჩეულად რთული იყო: ზოგიერთი ვერ იგებდა ჩვენს მიზანს, ზოგი არ გვენდობოდა, ზოგისთვის მიუღებელი იყო, ზოგს ქმარ-შვილი არ აძლევდა მონაწილეობის უფლებას. ძალიან ბევრი წინააღობის და ბარიერის გადალახვა მოგვიწია ამ კუთხით. მაგალითად, გადაღების დღეს 2 ქალი არ მოვიდა და წინასწარ მომზადებული ტანსაცმლისა და რეკვიზიტების მორგება სრულიად სხვა მოდელებზე მოგვიწია, თუმცა, საბოლოო ჯამში ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა და გადაღების მერე ყველა ძალიან ბედნიერი, კმაყოფილი და ნასიამოვნები გავუშვით სახლში. ვიმედოვნებ, რომ როცა სხვა ადამიანები ნახავენ ამ კამპანიას, ოდნავ მაინც შეეცვლება თანამოდგენა ამ თემასთან დაკავშირებით.

Waist bags have always been associated with the bazaars for me because I often saw them in the outfits of traders and therefore I always liked this accessory very much.

I think this project was especially interesting because we did not work with professional models, as is often the case - we chose models, not from the agency websites, but fairs. These people have never had a connection with this field, it was a bit unusual at first and they even had a feeling of distrust. The project was quite interesting for me, because the more complex the topic, the more fun it is to work on it.

I wanted chosen looks to be as authentic as possible, that is, appropriate to the appearance and character of the models, and at the same time eclectic, because with similar clothes, they do not go to work often. I tried to balance this with organicity and eclecticism. We created the make-up looks on the spot according to the character of the model and her persona.

The process of selecting women traders was exceptionally difficult: some did not understand our purpose, some did not trust us, for some it was unacceptable and some women's husbands and sons did not allow them to participate. We had to overcome a lot of obstacles and barriers in this aspect. For example, 2 women did not come on the day of the shooting and we had to adjust the pre-prepared clothes and props to completely different models, however, in the end, everything went well and these women left very happy and satisfied. I hope that when other people see this campaign, their perception of this topic will change at least a little tiny bit.

COSMO

მოდელი: სარა ლაიმბერგი
ფოტოგრაფი: ლეკო ტყონია
ვიზაჟი: კრისტი ვეკუა
თმის სტილისტი: ნათია ტოხური

Model: Sara Leymberg
Photography: Leko Tchkonია
Make-up: Kristi Vekua
Hair stylist: Natia Tchokhuri



Women from the Bazaar

ქალები ბაზრიდან

ნამდვილი ქალები, ნამდვილი ცხოვრებით

Women from the Bazaar

Real Women With Real Lives



თეონამ და მარინამ არ ისურვეს ფოტოების გამოქვეყნება

Teona and Marina did not want their photos to be published.



COSMO

მოდელი: თეონა ბეგლარაშვილი
ფოტოგრაფი: ლეკო ტყონია
ვიზაჟი: კრისტი ვეკუა
თმის სტილისტი: ნათია ჭოხური

Model: Teona Beglarashvili
Photography: Leko Tchkonია
Make-up: Kristi Vekua
Hair stylist: Natia Tchokhuri

მისამართები:

ვაჟა ივერიელის 24, თბილისი
სიითი მოლი საბურთალო, თბილისი
სიითი მოლი გლდანი, თბილისი
ისტ ფონითი, თბილისი

ფენიქსი ვარკეთილი, თბილისი
შავი ზღვის მ. მოლი, ბათუმი
ქარვასლა, კუთაისი

დაასკანერეთ QR კოდი
საიტზე გადასასვლელად.
Scan the QR code to access the
website.



Address:

Vaja Ivereli 24, Tbilisi
City Mall Saburtalo, Tbilisi
City Mall Gldani, Tbilisi
East Point, Tbilisi

Phoenix-Varketili, Tbilisi
Black Sea Mall, Batumi
Karvasla, Kutaisi

გვიპოვეთ და გამოგვყევით:
Find us and follow:



შემოქმედებითი ხელმძღვანელი/ რედაქტორი/ ქართული ბატმენი: გიორგი ავალიანი, HOLY MOTORS სამხატვრო
ხელმძღვანელი: ნიკა კუმბარი, HOLY MOTORS სტრატეგიული ხელმძღვანელი: შოთა ჩინჩალაძე, HOLY MOTORS
პროექტ მენეჯერი: ქეთი ნიკოლაშვილი, HOLY MOTORS დიზაინერი: თათა გუზარაშვილი, HOLY MOTORS ქოფირაიტერი:
სოფია ცინცაძე, HOLY MOTORS პროდუსერი: ანი მესხიძე ფოტოგრაფი: ლეკო ჭკონია ვიდეოგრაფი: ალექსანდრა
იაკობაშვილი, ნიკოლოზ თაბუკაშვილი სტილინგ: ჯაბა კურტიშვილი მუა: კრისტი ვეკუა ჰაისტილი: ნათია ჭოკური
ნათია ჭოკური მოდელები: ნინო ხუტისხილი, სარა ლეიმბერგი, ვიკა აგრისკოვა, მარინა მოტსონელიძე, თეონა
ბეგლარაშვილი, ლუიზა ასლანოვა მონტაჟი: გიორგი კაპანაძე

CREATIVE DIRECTOR/ EDITOR/ GEORGIAN BATMAN: GIORGI AVALIANI, HOLY MOTORS ART DIRECTOR: NICK KUMBARI, HOLY
MOTORS STRATEGY DIRECTOR: SHOTA CHINCHALADZE, HOLY MOTORS PROJECT MANAGER: KETI NIKOLASHVILI, HOLY MOTORS
DESIGNER: TATA GUSHARASHVILI, HOLY MOTORS COPYWRITER: SOFIA TSINTSADZE, HOLY MOTORS PRODUCER: ANI MESKHIDZE
PHOTOGRAPHER: LEKO CHKONIA VIDEOGRAPHER: ALEXANDER IAKOBASHVILI, NIKOLOZ TABUKASHVILI STYLING: JABA KURTISHVILI
MUA: KRISTI VEKUA HAIRSTYLIST: NATIA CHOKHURI MODELS: NINO KHUTSISHVILI, SARAH LEYMBERG, VIKI AGRIZKOVA, MARINA
MOTSONELIDZE, TEONA BEGLARASHVILI, LUIZA ASLANOVA EDITING: GIORGI KAPANADZE

LEGAL DISCLAIMER: WOMEN FROM THE BAZAAR IS A PROMOTIONAL MATERIAL BY COSMO.